პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976 შაბათი 27 მარტი № 72 (16502) ფასი 2 კაპ. 1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

მეათე-საპრისხის, ეფექტიანობის-საუთხელი

ხუთი დღეც და დამთავრდება მეათე ხუთწლედის პირველი წლის პირველი კვარტალი.

დგება დრო, როცა თვითთეულმა კოლექტივმა უნდა შეაჯამოს კვარტალის დაკალები ვადამდე შესრულებისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების განაღდების შედეგები, უნდა უპატაკოს საზოგადოებას თუ რა ყვლილი შეიტანა ხუთწლედის ყულაბაში, როგორი საფუძველი მოუმზადა მომავალი გაფართოებული აპოცანების შესრულებას.

გვახსოვდეს, კვარტალის ეს ბოლო დღეები გადამწყვეტია, და ეს ეს ბოლოდ, დანაკარგელური ზეგოვეთ ანდა, ყველანელთ, თვეთეული სამუშაო დღე, თვითეული საათი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. ნუ დავიწყებთ, რომ ხუთწლედს მივეცით ჩვენი მუშური გარანტია, რომ უთუოდ შეასრულებთ ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანებს.

ვიშრომოთ ეფექტურად, ხარისხიანად, არცერთი ჩამოტრჩენილი კოლექტივი არ უნდა იყოს ჩვენს რიგებში!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ვ. ი. ლენინის დაბადების ღლისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობის მოწყობის შესახებ

საქართველოს ხსრ რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და სოფლის მშრომელებმა ფართოდ და მხურვალედ დაუჭირეს მხარი მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ინიციატივას, რომელმაც მოგვიწოდეს აღვნიშნოთ ვ. ი. ლენინის დაბადების 106-ე წლისთავი მაღალნაყოფიერი შრომით 1976 წლის 17 აპრილის კომუნისტურ შაბათობაზე. სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფოთოვანებულმა მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს შაბათობის დღეს უმაღლეს შედეგებს მიაღწიონ შრომის ნაყოფიერებაში, საუკეთესო პროდუქციის გამოშვებაში, რაც დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება იმ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში, რომელიც გაჩაღდა მეათე ხუთწლედის — ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის პირველი წლის საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის. რესპუბლიკის საწარმოო კოლექტივებში ეწყობა მასობრივი მიტინგები და კრებები, რომლებზეც კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს, სახავენ კონკრეტულ გეგმებსა და ღონისძიებებს წითელი შაბათობის — კომუნისტური შრომის ნამდვილი დღესასწაულის მომზადებისა და მოწყობისათვის.

ლენინური კომუნისტური შაბათობის სამზადისი ყველგან მიმდინარეობს განსაკუთრებული შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, რომელიც სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელების მისწრაფებით არის გამოწვეული. სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოების, სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების კოლექტივები გამოდიან სხვადასხვა თაოსნობითა და წამოწყებით, რომლებსაც ფართოდ უჭერს მხარს რესპუბლიკის ყველა მშრომელი. „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს — განვახორციელებთ!“, „ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედს — მუშური გარანტია“, „შაბათობის დღეს ვიშუშავებთ დაზოგილი მატერიალური რესურსებით“, „გამოვუშვებთ მხოლოდ მაღალხარისხოვან პროდუქციას და ჩავაბარებთ პირველი წარდგენისთანავე!“ — ასეთი ლოზუნგებითა და დევიზებით მიმდინარეობს შაბათობის სამზადისი. რომელიც სულ უფრო ფართოვდება. მშრომელები ერთხულოვნად ისწრაფვიან გაცილებით მეტი სახსრები გადარიცხონ ხუთწლედის ფონდში, ვიდრე წინა შაბათობებზე.

შაბათობის აქტიური სამზადისი გაიშალა თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, გორისა და სხვა ქალაქების საწარმოებში. დიდი ენთუზიაზმით ემზადებიან შრომის დღესასწაულისათვის სოფლის მშრომელები, მოხნავლეები, მეცხიერების, კულტურის, განათლების დაწესებულებებისა და ორგანიზაციების. მომსახურების სფეროს საწარმოთა მუშაკები. რესპუბლიკის ბევრი მცხოვრები აღნიშნავს ამ დღეს ნაყოფიერი მუშაობით ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობა-გამწვანებისათვის, ადამიანთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

რესპუბლიკის მოწინავე კოლექტივების პატრიოტულ წამოწყებებს, რომლებმაც ფართოდ დაუჭირეს მხარი მოსკოველთა თაოსნობას, თან ახლავს მთელი საზოგადოებრიობის აქტივობის აღმავლობა, პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის, საბჭოების, პროფკავშირებისა და კომკავშირის მასობრივი მუშაობის გაძლიერება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა რესპუბლიკის მოწინავე შრომითი კოლექტივების ინიციატივა, რომლებმაც მოსკოვის საწარმოებისა და ორგანიზაციების შესანიშნავი მაგალითისამებრ გადაწყვიტეს მოაწყონ 17 აპრილს კომუნისტური შაბათობა ვ. ი. ლენინის დაბადების 106-ე წლისთავის აღსანიშნავად.

საქართველოს კომპარტიის სოფლის, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს დაეგზავნათ დასაბუთნ და განახორციელონ ამ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ორგანიზაციულად და პოლიტიკურად უზრუნველყოფენ 17 აპრილის ლენინური კომუნისტური შაბათობის სრულფასოვან მომზადებასა და მოწყობას. შაბათობამ ხელი უნდა შეუწყოს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით გამოწვეული მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობის შემდგომ გაძლიერებას. ამ მიზნით საჭიროა: შეიქმნას მსხვილი საწარმო-ორგანიზაციებში შაბათობის მომწყობი შტაბები, ხოლო ყოველ შრომითს კოლექტივში — შესაბამისი სამუშაო ჯგუფები, რომლებსაც დაეკისრებათ შაბათობის მომზადებისა და მოწყობის, მისი ყველა მონაწილისათვის მაღალნაყოფიერი შრომის პირობების შექმნის უზრუნველსაყოფ კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება;

საწარმოებისა და დაწესებულებების პირველადმა პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, ადმინისტრაციამ ყოველი ღონე იხმაროს, რათა მაქსიმალურად ჩაებან შრომელები კომუნისტურ შაბათობაში, შექმნან თვითეულ კოლექტივში მაღალი შრომითი აქტივობის, ისეთი მისწრაფების ატმოსფერო, რომ ამ დღეს ნაკლები დანახარჯებთა და დაზოგილი მასალა-რესურსებით გამოუშვან მეტი, საუკეთესო ხარისხის პროდუქცია, მიაღწიონ შრომის უმაღლეს ეფექტიანობას ყველა სამუშაო უბანზე;

ფართოდ გამოიყენონ კომუნისტური შაბათობის მოწყობისა და მონაწილეობაში განსაკუთრებით თავგამოჩენილ მუშაკთა წახალისების სხვადასხვა ფორმა.

რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს და მასობრივი ინფორმაციის ყველა ორგანოს წინადადება მიეცათ ფართოდ გააშუქონ შაბათობის სამზადისი და მიმდინარეობა, ყოველმხრივ ასახონ და გაუწიონ პროპაგანდა მასების შემოქმედებითს აქტივობასა და ინიციატივას, წარმოების მოწინავეებისა და ნოვატორების მიღწევებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის ყველა შრომითი კოლექტივი, თვითეული მშრომელი მაღალ პოლიტიკურ შეგნებას გამოიჩენენ და აქტიურ მონაწილეობას მიღებენ ვ. ი. ლენინის დაბადების 106-ე წლისთავისადმი მიძღვნილ კომუნისტურ შაბათობაში, ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ ისტორიული XXV ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, მოიპოვებენ ახალ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში. (საქინფორმი).

გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში

სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი რევოლუციური საბჭოს პრეზიდენტის მოკავშირე სიად ბარეს სსრ კავშირში ყოფნის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი რევოლუციური საბჭოს პრეზიდენტი ამხანაგი მოჰამედ სიად ბარე, რომელიც მეთაურობდა სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას სკკპ XXV ყრილობაზე.

ამხანაგმა სიადმა მაღალი შეფასება მისცა სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ მნიშვნელობას, საბჭოთა კომუნისტების წვლილს სოციალიზმისა და ეროვნული განთავისუფლების ძალების შეკავშირების საქმეში, იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, მშიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლაში. მან თქვა, რომ სსრ კავშირში სოციალიზმის აშენებამ გამოცდილებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონა ხალხებისათვის, რომლებიც კოლონიური ბატონობისაგან განთავისუფლდნენ და დაადგნენ სოციალისტური ორიენტაციის გზას.

პრეზიდენტი სიადი შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს ყრილობის მუშაობის დროს. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ამხ. სიადს, სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს რევოლუციურ საბჭოს, მთავრობასა და ხალხს უსურვა შემდგომი წარმატებანი ახალი საზოგადოების მშენებლობაში.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს პრეზიდენტ სიადს და მისი დელეგაციის წევრებს მეგობრული შეხვედრები ჰქონდათ აგრეთვე საბჭოთა, პარტიულ და სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ამხანაგი სიადი შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ა. პ. კირილენკოსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ბ. ნ. პონომარიოვს. საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები.

სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ გვირგვინით შეამკო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი, ეწვია მუზეუმს „ვორკილენინსკიეს“, მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობა „ლენინის სხივს“, პ. ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტს, სადაც სტუდენტთა და მასწავლებელთა მრავალრიცხოვან მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა სიადმა.

26 მარტს სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი რევოლუციური საბჭოს პრეზიდენტის მოჰამედ სიად ბარეს მეთაურობით სსრ კავშირიდან გაემგზავრა. აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ვიზიტი დამთავრდა

ლონდონი. 25 მარტი. (საკუთარი). დღეს ლონდონიდან მოსკოვში გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

აეროდრომზე ა. ა. გრომიკო გააცილეს დიდ ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრმა ჯ. კალაგენმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. გამცილებელთა შორის იყო სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ნ. მ. ლუსკოვი.

* * *

ამავე დღეს ა. ა. გრომიკო მოსკოვში ჩამოვიდა. მას აეროდრომზე შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ი. ვ. ანდროპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი პ. ნ. დემიჩევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი.

გაპუსწორდეთ მორნინავეებს!

სიტყვას საქმე ამშვენებს

ვალდებულება განაღდებულია

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). თხუთმეტ მარტს განაღდეს კვარტალის დავალება ლილოს სამენ მასალათა კომბინატის (დირექტორი გ. ყანნაველი) იმ ბრიგადებმა, რომლებსაც ზ. აბრამშვილი, ა. ტბაფცაძე და ა. ქებაძე ხელმძღვანელობენ. ბრიგადებს შორის ორგანიზებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ კარგი ნაყოფი გამოიღო. საწარმოს კოლექტივმა ვალდებულებათ ნაკისრი ვადაზე ადრე, 24 მარტს, განაღდა პროდუქციის გამოშვების კვარტალის დავალება.

საწარმოს მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს თვის ბოლომდე კვარტალის გეგმის გადამეტებით გამოუშვან 100 ათასი მანეთის პროდუქცია.

ხუთწლედი — 3,5 წელიწადში

„ხარისხის ხუთწლედს მუშური გარანტია“ — ამ დევიზით ვეჯიბრებით ერთმანეთს მაღაროელები. შეჯიბრებამ კარგი შედეგი მოიტანა. ჩვენმა მაღაროს კვარტალის დავალება ვადაზე ადრე განაღდა და ათასობით ტონა ზეგეგმითი მარგანეცი ამოიღო.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად ბევრმა მაღაროელმა მთის შორის ი. ლომძიქე, უ. შეყილაძემ, კ. ცერცვაძემ, ი. კომლაძემ და სხვებმა იკისრეს ვალდებულება ხუთწლედი 3,5 წელიწადში შეასრულონ.

სოციალისტური შეჯიბრება ახლა აპრილის ანგარიშში მიმდინარეობს. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს წლის მეორე კვარტალშიც ისევე დამკვრელურად ვიშრომოთ, როგორც განვლილ თვეებში, როცა სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე ვიდექით.

ბ. ხარაიშვილი,
ჭიათურის სამთამადნო კომბინატის ახალი ითხვისის მაღაროს გვირაბგამყვანი.

წლეულს უკეთ, ვიდრე შარშან

გორი. მეათე ხუთწლედის პირველი კვარტალისათვის ნაკისრი ვალდებულება და სამი თვის საბელმწიფო გეგმა ვადაზე ადრე შესრულა გორის ბამბეულის კომბინატის კოლექტივმა.

— სოციალისტური შეჯიბრების კარგი ორგანიზაციით ფეიერებმა ოთხი დღით ადრე დაძლიეს კვარტალის გეგმა და ახლა აპრილის ანგარიშში შრომობენ, — აცნობა რედაქციას კომბინატის დირექტორმა გ. შარიქაძემ.

ნაკისრია ვალდებულება, რომ კვარტალის გეგმის გადამეტებით გამოშვებული და რეალიზებული იქნება 750 ათასი მანეთის პროდუქცია.

აღსანიშნავია, რომ წლეულს პირველ კვარტალში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით გამოშვებული და რეალიზებული იქნება 1 მილიონ მანეთით მეტი პროდუქცია, 90 ტონით მეტი ძაფი და 1 მილიონი მეტრით მეტი ქსოვილი.

დამკვრელური შეჯიბრება გრძელდება.

დღეში — ორი დღის ნორმა

ყოველი ბრიგადა სანიმუშო საწარმოო კულტურის და შრომითი დისციპლინის კოლექტივი უნდა იყოს, — ამ მოწოდებით მივმართეთ ქარხნის ყველა ბრიგადას და გავშალეთ სოციალისტური შეჯიბრება.

ჩვენი ბრიგადა ცდილობს პირნათლად შეასრულოს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები, გაამართლოს ინიციატორის სახატიო წოდება. ახლა დამკვრელურად ვშრომობთ. ზრიგადაში ყველანი ახალგაზრდა კომუნისტები არიან, მხოლოდ საუკეთესო პროდუქციას უშვებენ.

ახლა ჩვენ ყოველთვიურად ვაწყობთ 50-დე ყურძნის გადამწუნავებელ აგრეგატს, მაშინ როცა ნორმა 30 მანქანაა. ერთმანეთს შორის გაბლილი გვაქვს შეჯიბრება, რომ ყოველ ორ დღეში ერთი ზეგეგმითი მანქანა დაგამზადოთ. ბრიგადის წევრები, კომუნისტები კ. ცხადაძე, ლ. კაზარიანი, რ. მაისურაძე, გ. ჭელიძე ინდივიდუალური გეგმებით შრომობენ და ნაკისრ ვალდებულებებს გადაჭარბებით ასრულებენ. ისინი ახლა მეათე ხუთწლედის პირველი წლის მესამე კვარტალის ანგარიშში შრომობენ. დღეში — ორი დღის ნორმა, — ეი ჩვენი მიზანი.

შ. მაისურაძე,
თბილისის 26 კომისრის მანქანათსამშენებლო ქარხნის ამწყობ-ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელი.

27-28 მარტს მეცხოველეობის ფერმების რესპუბლიკური დათვალიერებაა

მეცხოველეობის ფერმების რესპუბლიკური დათვალიერება იქნება ნამდვილი გამოცდა, თუ ვინ როგორ შრომობს მეცხოველეობის ახალი აღმავლობისათვის, ვინ როგორ ახორციელებს სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებებს, როგორ იყენებენ ამა თუ იმ რაიონში არსებულ რეზერვებს.

ამ მხრივ მეათე ხუთწლედის პირველ კვარტალში მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს გურჯაანის, წითელწყაროს, ახმეტის, ბოგდანოვკის, ლენინგორის, ფუშეთის, ჩხოროწყუს, ხულოს და მთელი რიგი სხვა რაიონების მეცხოველეებმა. ამ დათვალიერების დროს გამოვლინებული ნაკლოვანებანი სწრაფად უნდა გამოსწორდეს, რათა გაზაფხულზე და ზაფხულში მკვეთრად გადიდდეს ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება და დამზადება. აი რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და **სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა.**

რუისპირელთა ფერმაში

ეს ეც თურღონ ხეობა. აქედან იწყება რუისპირი. აქვე გადასახვევია, ფერმებთან მისასვლელი გზა ორღობეში მიემართება. მესაქონლეობის ფერმა ყველაზე მოწინავეა რაიონში. ორკერ გაიმარჯვა შეჯიბრებაში და რაიონული გარდამავალი დროშა დაიმსახურა.

ჯოელეურნეობის თავმჯდომარე აკაკი გერმანიშვილი წითელ კუთხესთან ვნახეთ. „მთავარია მეცხოველეობის ამაღლება“, „სპარტიო წელილი შეეტანოთ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში“, „ხარისხი ჩვენი მთავარი სახობია,“ — ეკითხულობთ ლამაზად გაფორმებულ სტენდებსა თუ ლოზუნგებზე.

კედელზე მოწინავე მწველავის, ლენინის ორდენოსან ანეკო კობაიძის სურათი ჰკიდია. ყოველდღიურად იცვლება სურათი. წინამორბედის ადგილს იკავებს ის, ვინც იმ დღეს ყველაზე მეტად ისახელებს თავს.

არა მარტო ამ სოფელში, არამედ თელავის რაიონშიც პატივს სცემენ, აფასებენ კარგ მწველავს. ანეკო კობაიძე ყოველდღიურად 18 ძროხას წველის და 125 ლიტრ რძეს იღებს, საშუალოდ ერთ ძროხაზე 6,5 კილოგრამი გამოდის. მან სამ წელიწადსა და ორ თვეში შეასრულა მეცხრე ხუთწლიანი გეგმა.

ანეკოსავით გამრჯე ადამიანების წყალობით შარშან რძის წარმოების გეგმა კოლმეურნეობამ გადამეტებით შეასრულა. სახელმწიფოს 2.518 ცენტნერი რძე და 279 ცენტნერი ხორცი მიჰყიდეს. ფერმაში 121 ხბო დაიბადა და ყველა შეინარჩუნეს.

რუისპირელებს წლეულს დიდი გეგმები აქვთ დასახული, სახელმწიფოს 310 ცენტნერი ხორცი, 1.950 ცენტნერი რძე უნდა მიჰყიდონ და 120 სული ხბო შეინარჩუნონ.

ყველამ იცის, რომ ყუთაინი და ალგეთი საკვები მეცხოველეობის წინსაწყლის საწინდარია. ამიტომაც აქედანვე ემზადებიან პირუტყვის საკვების დასაგროვებლად. მათ გადაწყვიტეს 900 ტონა სილოსი, 450 ტონა სენაჟი დაამზადონ. 40 ჰექტარზე დათესონ ძირხვენები.

აქ ენერგიულად შრომობენ მოწინავე მეცხოველეები: რუბენ ქონიძეები, მიხეილ ძამუკაშვილი, ლეონ ლოქაფიშვილი, ილია ქავთარაძე, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ლიზა ბუჩუკური, რომელიც დღეში 140 კილოგრამ რძეს წველის, მაგდანა კობაიძე, მედიკო ქისტაური, ნანა ლიქოკელი, ზინა ბეთხუზი და სხვები.

— ყოველდღიურად 18 ძროხას ვუველ. დღეში 90-100 ლიტრ რძეს ვწველი. ეს ძალზე დამღლელია, — ამბობს ლიზა ბუჩუკური, — აგრეგატით 60 ძროხაზე მეტს კიდეც მოვწველიდი და კიდევაც მოვუვლიდი, მაგრამ დანადგარები რომ არა გვაქვს!

— მექანიზაცია ჩვენთანაც რომ იყოს, გაორმაგდება შრომის შედეგი, — დაუმატა მანანა ლიქოკელმა. ეს სამართლიანი საყვედურია და ეს საქმე უნდა მოგვარდეს.

ი. ჯაფვაძე.

გაზაფხული გვიცდიმობს



თესავენ გარდაბნელები

გარდაბნის რაიონში საგაზაფხულო კულტურები უკვე დათესა 3.800 ჰექტარზე. მათ შორის ბოსტნეული — 1.800, ხოლო ბარდა — 1.600 ჰექტარზე.

საადრეო ბოსტნეულისათვის კვალსათბურებში მიმდინარეობს პამიდორის, ბადრიჯნის, კომბოსტოს თესვა.

ზურგთზე: ქარხლის თესვა გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში. მარცხნიდან — მთავარი აგრონომი შ. მამედოვი და მექანიზატორი ხ. ორუჯევი შესვენების დროს მსჯელობენ თესვის ხარისხზე.

ბ. ბოგოხიას. ფოტო.

მგზნებარე მებრძოლი

სამეცნიერო სესია მიძღვნილი ს. მ. კიროვის დაბადების 90 წლისთავისადმი

უდრეკი ლენინელის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოსთვის მგზნებარე მებრძოლის, რევოლუციის ტრიბუნის სერგეი მირონის-ძე კიროვის სახელი უსაზღვროდ ძვირფასია ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელისათვის. ოცდაათი წლის გამრჯე მოღვაწეობით ბოლშევიკთა პარტიის რიგებში, ხოციალიზმის გამარჯვებისათვის, ლენინიზმის იდეების სიწმინდისათვის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დამკვიდრებისათვის დაუცხრომელი ბრძოლით მან პარტიისა და ხალხის უდიდესი ნდობა, სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭა.

ს. მ. კიროვის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, აზერბაიჯანში სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის ბრძოლასთან.

სერგეი მირონის-ძე კიროვის დაბადების 90 წლისთავს მიეძღვნა სამეცნიერო სესია, რომელიც 26 მარტს გაიმართა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ისტორიის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში. იგი მოიწვიეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალმა და საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის კიროვის რაიკომმა.

სესიაზე მოისმინეს მოხსენებები: „ს. მ. კიროვის ცხოვრება და მოღვაწეობა“ (მომხსენებელი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი დ. გ. სტურუა), „ს. მ. კიროვი საქართველოში“ (მომხსენებელი — ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი ფ. მ. მახარაძე), „ს. მ. კიროვი ახალგაზრდობის შესახებ“ (მომხსენებელი — საქართველოს ალკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. გ. ბაქრაძე).

სესიას დაესწრნენ პარტიის ვეტერანები, მეცნიერები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, თბილისის კიროვის რაიონის მშრომელები.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. მ. სარაძე.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში მოწყობილია ს. მ. კიროვის ცხოვრებასთან და რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალებისა და დოკუმენტების გამოფენა. (საქინფორმი).

26 მარტი „პრავდის“ ფურცლებზე

სახალხო მოსამართლეების არჩევნების შესახებ

11 აპრილს ჩვენს ქვეყანაში, ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში გაიმართება სახალხო მოსამართლეების არჩევნები.

სწორედ ამ საკითხს ეძღვნება გუშინდელი ნომრის მოწინავე („სახალხო მოსამართლეების არჩევნების შესახებდრეადრ“).

„სახალხო მოსამართლეების ახლანდელი არჩევნები, — წერს გაზეთი, — ეწყობა სკკპ XXV ყრილობის შემდეგ, რომელმაც განსაზღვრა პარტიისა და ქვეყნის ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. ყრილობამ დასახა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების, სახელმწიფოს მოგებულობის ცდების, წამალებების, საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის, კეთილსინდისიერ, კეთილსინდისიერ მუშაობის, ადამიანთა ინიციატივის, ინიციატივის, ინიციატივის,

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი—მასებში!

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

საბჭოთა ადამიანებისათვის კომუნისტურ აშენებლობაში ახალი მიღწევების მძლავრი შთამაგონებელი სტიმული გახდა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი. და ახლა არ არის იმაზე მნიშვნელოვანი ამოცანა, რომ ისინი გავატაროთ თვითეულ მშრომელს. ხორცი შევასხათ კონკრეტული საქმეებით პარტიის წინასწარმეტყველებს.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში დიდი მუშაობა წარმოებს XXV ყრილობის მასალების ახსნა-განმარტებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად მასების დარაზმვისათვის. 24 მარტს გამართულმა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მორიგმა პლენუმმა განიხილა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის თ. ნ. მენთეშაშვილის მოხსენება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის პოლიტიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების გეგმის შესახებ.

ამხ. თ. ნ. მენთეშაშვილმა ლაპარაკი იმაზე, რომ სკკპ XXV ყრილობის მთელი მუშაობა გამსჭვალული იყო პარტიული ლენინური მონოლითური იდეურ-პოლიტიკური ერთიანობის სულის კვეთებით. რომ ამ მუშაობაში განსახორციელებული პარტიის კოლექტიური სიბრძნე, მისი შემოქმედებითი სტილი, მისი თავდადებული ერთგულება ხალხისადმი, კომუნისტური იდეალებისადმი, მოახსენებელმა თქვა, რომ ყრილობის გადაწყვეტილებანი მძლავრ იმპულსს ძალეგენ ახალ სასახელო საქმეებს. მან აღნიშნა, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტმა აქტივის, მეცნიერებისა და სპეციალისტების მონაწილეობით შეიმუშავა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა გაშლილი, ორი წლისათვის ნათვალისწინებული გეგმა. ისაუბრა მოიცავს პროდუქციის წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის შემდგომ ამაღლებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის გეთმჯობესებისათვის პარტიის საქალაქო კომიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. გეგმაში დასახულია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი სრულყოფის, მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის, კომუნისტური ზნეობისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით მათი აღზრდის, სოციალისტური კონიერების, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებანი. გეგმაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპების განმტკიცების, პარტიული აპარატისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის საკითხებს.

დაიწყო გეგმის პროექტი განხილვა. მისმა მონაწილეებმა წამოაყენეს მთელი რიგი წინადადებანი და სურვილები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო წარმოების ინტენსიფიკაციისათვის ბრძოლის გაძლიერებას, მრეწველობაში, საქალაქო მეურნეობაში ხარისხობრივი მაჩვენებლების ყოველმხრივ გეუმჯობესებას, პარტიული მუშაობის სრულყოფას, კადრების პოლიტიკის ლენინური პრინციპებისა და მოთხოვნების განუხრელ დაცვას. აღინიშნა, რომ ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან იმ დადებითი შეფასებით, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მისცა მათს საქმიანობას მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის, უფრო ფართოდ და ღრმად უნდა გაშალონ ეს მუშაობა — მშრომელთა კოშენისტური აღზრდის მთელი სიქმის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი, მეათე ხუთწლედის ამოცანების განხორციელებაში ახალ წარმატებათა საწინდარია.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ნამდვილად მასობრივი და ეფექტიანი ბრძოლის გაშლას იმისათვის, რომ თბილისი გადაიქცეს კომუნისტური შრომისა და ყოფაცხოვრების, მაღალი კულტურისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის ქალაქად. ორატორებმა თავიანთი გამოსვლები ალერეს ისეთი საკითხები, როგორიცაა სანიმონო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება, მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სატრანსპორტო მომსახურების მკვეთრი გეუმჯობესება, კერძოდ, კომპლექსური განაშენიანების მასივებში.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ გეგმაში დასახული ღონისძიებანი გამომდინარეობენ პარტიის XXV ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების ძირითადი დებულებებიდან და დასკვნებიდან.

პლენუმზე ყველა გამოსვლას წითელ ზოლად გასდევდა ის აზრი, რომ საჭიროა უფრო ფართოდ გავშალოთ პრინციპული, საქმიანი ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, ავამაღლოთ კადრების მოთხოვნელობა და პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, კი არ შევანელოთ, არამედ გავაძლიეროთ ბრძოლა ნეგატიური მოვლენების, პროტექციონიზმის, მომხეეპელობის, კერძოსკეთრული და სხვა ამორალური გამოვლინებების, ჭერ კიდევ არსებული წარსულის გადმონაშთების მთლიანად აღმოფხვრისათვის.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები, როგორც სკკპ XXV ყრილობაზე აღინიშნა, ეკონომიური და კულტურული მშენებლობის წინა ხაზზე არიან, უშუალოდ ხალხში საქმიანობენ.

„პარტიული ხელმძღვანელობის ღონე, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — უშუალოდ დამოკიდებული იმაზე, რამდენად მებრძოლურად და ინიციატივიანად მუშაობენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები. რამლებიც ჩვენი პარტიის საფუძველს შეადგენენ".

ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის სრულყოფის, პირველად პარტიულ ორგანიზაციათა როლის ამაღლების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იყო საქალაქო კომიტეტის პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიკომის ანგარიშის განხილვა, რომელიც მიეძღვნა პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობის ერთად ერთად ორგანიზაციები, რომლებიც საჭირო გალენას არ ახდენენ თავიანთი კოლექტივების ცხოვრებისა და საქმიანობაზე, ისინი არ ირჩენენ მებრძოლ ლ ურ ბ ა ს, პრინციპულობას, ბოლშევიკურ შეურიგებლობას ნაკლოვანებებისადმი, არ იღვწიან ქმედითი კრიტიკისათვის. ზოგიერთ მათგანს ახასიათებს უყურადღება დამოკიდებულება ადამიანებისადმი, მათი მოთხოვნებისა და საჭიროებებისადმი, მათი განწყობილებისა და საქმეებისადმი, უნარი არ შესწევს მთავარი ყურადღება დაუთმოს ზრუნვას საბჭოთა ადამიანისათვის, მისი დიდად ნაყოფიერი შრომის, კულტურული დასვენების, სულიერი ზრდის პირობების შექმნისათვის. ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ სამეცნიერო-ტ ექნიკურმა და შემოქმედებითმა ინტელიგენციამ, რომელთა წვლილი მშრომელთა კოშენისტურ აღზრდაში ჯერ კიდევ საკმარისი არ არის.

ორატორმა თქვა, რომ უნდა გაძლიერდეს ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, მოიყვანა იმის მთელი რიგი მაგალითები, თუ როგორ აკმაყოფილებენ საქმეს ისეთ ორგანიზაციებში, როგორიცაა სახალხო სასამართლოები, სახალმმართველოანი და სხვ.

ორატორმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ სათანადოდ არ ეფერხონლდებიან და არ ვზოგავთ დროს, და მოიყვანა დამაჯერებელი მონაცემები წარმოებაში მოწყობილობის მოცდენისა და სხვა მიზეზების შედეგად დიდი დანაკარგების შესახებ, თქვა, რომ საჭიროა ზუსტად გეგითვალისწინოთ დროის ფაქტორი. პარტიული მუშაობის მთელ ორგანიზაციაში, ჯერ კიდევ ყოველთვის ვერ უზრუნველყოფთ, თქვა მან, სიტყვისა და საქმის ერთიანობას — ეს კი საკალდებულოა კომუნისტებისათვის. ამის დასადასტურებლად ამბ. მენთეშაშვილმა მოიყვანა შემდეგი ფაქტი. თბილისის XXXVI საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე წამოაყენეს წინადადება, რომ საქართველოს დედაქალაქში ფართოდ განხორციელდეს ღონისძიებანი დევეზით: „ყოველივე საუკეთესო ბავშვებს". მაგრამ კონფერენციის შემდეგ არ თვეზე მეტი გავიდა, ამ შესანიშნავი ლოზუნგის განსახორციელებლად კი, არსებითად, არაფერი არ გაკეთებულა.

კომუნისტთა უპირველესი მოვალეობაა დარაზმონ მშრომელები მეათე ხუთწლედის საკვანძო ამოცანათა გადასაწყვეტად, მიზნად დაუსახონ მათ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლება ხალხური მეურნეობის ყველა რგოლში.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობდნენ „თბილ ა ლ ა ქ-პროექტის" ინსტიტუტის დირექტორი გ. ს. მირიანაშვილი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ვ. ნ. მირკვლაძე, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტის დირექტორი ვ. ი. მელქაძე, „თბილგაზის" სამმართველოს უფროსი ო. ტ. ჩინჩალაძე, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი გ. ი. ბერიძე, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის პარტკომის მდივანი ნ. ა. სვანიშვილი, პარტიის თბილისის 26 კომისრის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ნ. ვეფაშვილი, სანარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" პარტკომის მდივანი, საქალაქო პარტიული ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე დ. მ. ღოღინიძე, საავიაციო ქარხნის სამეჭროს პარტიული მდივანი გ. ა. ვართანოვი, საქართველოს კომპარტიის თბილისის ოქტომბრის რაიკომის მეორე მდივანი ვ. მ. ივანოვსკაია, თბილისის № 159 საშუალო სკოლის დირექტორი მ. ს. აზარაშვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი ვ. კ. თოთიბაძე, ქალაქ თბილისის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი მ. დ. გელეიშვილი.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმმა ნაიარა საქმიანი, მიზანდასახული და მაღალი მომთხოვნელობით ეითარებაში, ცხადყო, რომ რესპუბლიკის დედაქალაქის კომუნისტთა მე-ათასეული არმია მზად არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ძალღონე და ენერგია არ დაიშუროს, რათა წარმატებით განახორციელოს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ს. ე. ხაბეიშვილი. (საქინფორმი).

ოფიციალური განაცხადები

გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ნ. ი. საცის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქ. თბილისში 1976 წლის მარტში გასტროლების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით, ახალგაზრდა თაობის ესთეტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში დიდი წვლილისათვის, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მოსკოვის სახელმწიფო სამაგვარო მუსიკალური თეატრის დირექტორი და მთავარი რეჟისორი ნატალია ილიას ასული საცი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი.
1976 წლის 26 მარტი.

გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მოსკოვის სახელმწიფო სამაგვარო მუსიკალური თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქ. თბილისში 1976 წლის მარტში გასტროლების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით, ახალგაზრდა თაობის ესთეტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში დიდი წვლილისათვის, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მოსკოვის სახელმწიფო სამაგვარო მუსიკალური თეატრის დირექტორი ნატალია ილიას ასული საცი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი.
1976 წლის 26 მარტი.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 26 მარტის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოდნენ:

პროფესორი ქრისტეფორე იოსეფის-ძე არეშიძე, — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, — ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო - პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით.

ამხ. შალვა ლუკას-ძე ვასაძე, — გადამდგარი პოლკოვნიკი, — მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით.

ყრილობას მიეძღვნა

ხოხუმი, 26 მარტი. (საქინფორმის კორ.). აფხაზეთის საწარმოების, მშენებლობების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პროპაგანდისტები შეიკრიბნენ სოხუმში, რათა მონაწილეობა მიეღოთ პარტიული და კომკავშირული განათლების, ეკონომიური სწავლების ყველა რგოლის პროპაგანდისტთა რესპუბლიკ ურ ი ზონალური კურსების მუშაობაში, რომლებიც სკკპ XXV ყრილობის მასალების პროპაგანდას ეძღვნება.

შეკრებილთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ხინბამ.

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ვ. ავიძბამ გააკეთა მოხსენება „სკკპ XXV ყრილობა და პარტიულ ორგანიზაციათა იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები".

კურსებზე გამოვიდნენ სკკპ XXV ყრილობის დელეგატები — სოციალისტური შრომის გმირი მეშახტე ლ. ტყიბუჩავა, კოლმეურნეობა „გამარჯვების" მერგოლური ენ. ტკვიდატიანი, დურიფშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ტეანა, რომლებმაც პროპაგანდისტებს გაუზიარეს ყრილობის შთაბეჭდილებანი.

ოფიციალური

პირჩიეს კომუნისტი

მემარცხენე ძალების ახალი წარმატება

რომი, (საკდესი). დღეიდან იტალიის დედაქალაქის ლაციოს ოლქში აღმასრულებელი ძალაუფლება ეკუთვნით მემარცხენე ძალების წარმომადგენლებს. აქ შეიქმნა ახალი საოლქო ჯუნტა (ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანო) კომუნისტური და სოციალისტური პარტიების წარმომადგენლებისაგან. ჯუნტის თავმჯდომარედ აირჩიეს კომუნისტი, იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი მარუჩია ფერარა. ჯუნტაში შედიან 6 კომუნისტი და 4 სოციალისტი.

პირველად ბოლო 30 წლის მანძილზე იტალიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები შევიდნენ ლაციოს საოლქო ჯუნტის შემადგენლობაში, ხოლო ქვეყნის უდიდესი ბურჟუაზიული პარტიისაგან — ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიისაგან მრჩეველები იძულებული გახდნენ ოპოზიციაში გადასულიყვნენ. ლაციო იტალიის მეოქვსე პროვინციაა, სადაც აღმასრულებელი ძალაუფლება მემარცხენე ძალების წარმომადგენელთა ხელშია.

ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მარწან 15 ივნისს გამართულ არჩევნებში მემარცხენე ძალების წარმატების შედეგად.

გმოგენ აგრესორს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, (საკდესი). ისრაელის მიერ არაბეთის სახელმწიფოთა ტერიტორიების ოკუპაცია სერიოზულ საფრთხეს უქმნის ახლო აღმოსავლეთის მშვიდობასა და უშიშროებას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევაა. ასეთია ბევრი ქვეყნის წარმომადგენელთა გამოსვლების ლეიტმოტივი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს აქ მიმდინარე ხსდომაზე, როშელიც განიხილავს საკითხს ისრაელის მიერ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე რეპრესიული მოქმედებისა და ადამიანის უფლებათა აღმაშფოთებელი დარღვევების შესახებ.

ერაყის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისრაელმა დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს მარტოოდენ ოკუპირებული არაბული ტერიტორიები და შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის რეზოლუციები.

ისრაელ ოკუპანტთა მასობრივი ტერორი მკაცრად გააკრიტიკეს თავიანთ სიტყვებში ინდოეთის, მაურიტანიის, ტუნისის, პანამის, ბანგლადეშის წარმომადგენლებმა.

პანამის წარმომადგენელმა ა. ბიიდმა საეჭვოდ ცნო, რომ მუშაობა განაახლოს ჟენევის საზაეო კონფერენციამ, რათა მიაღწიონ მტკიცე და სამართლიან მშვიდობას ახლო აღმოსავლეთში.

იტალიისა და იაპონიის წარმომადგენლებმა მზარი დაუჭირეს მოთხოვნას, რომ ისრაელმა ჯარები გაიყვანოს ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან.

ვითარება ლიბანში

ბეირუთი, (საკდესი). მდგომარეობა ლიბანში კვლავ უკიდურესად დაძაბულია. ფართო შეიარაღებული შეტაკებანი ხდება ბეირუთის ცენტრალურ რაიონებში, აგრეთვე მთიან რაიონებში დედაქალაქის აღმოსავლეთით.

პრეზიდენტი ს. ფრანჯიე, რომელმაც გუშინ დილით დატოვა პრეზიდენტის ბაადბის სასახლე, გადასახლდა ბეირუთის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ჯუნიაში. გუშინ იგი შეხვდა რამდენიმე პოლიტიკურ მოღვაწეს. როგორც პრესა აღნიშნავს, ამ შეხვედრების დროს ს. ფრანჯიეს მათ აკრძნობინა, რომ არ აპირებს გადადგომას.

ეროვნულ-პატრიოტული ძალები კვლავ გადაჭრით მოითხოვენ ს. ფრანჯიეს დაუყოვნებლივ გადადგომას პრეზიდენტის პოსტიდან. ლიბანის პროგრესული სოციალისტური პარტიის ლიდერმა კ. ჯუმბლათმა გუშინ მოითხოვა, რომ პარლამენტმა აირჩიოს სახელმწიფოს ახალი მეთაური. ამ მოთხოვნას მხარს უჭერს აგრეთვე ბევრი ქრისტიანი პოლიტიკური მოღვაწე, მათ შორის ეროვნული ბლოკის პარტიის ლიდერი რ. ედე და ყოფილი პრეზიდენტი შ. ჰელუ.

კ. ჯუმბლათმა განაცხადა აგრეთვე, რომ ეროვნულ-პატრიოტული ძალების გაერთიანებული რაზმები არ შეუწყვეტენ ცეცხლს, სანამ ს. ფრანჯიე ოფიციალურად არ გადადგება და მემარჯვენე ძალები არ მოხსნიან ალყას ქვეყნის რჩდილოეთში მთელ რიგ სოფლებს, რომელთა მოსახლეობა მხარს უჭერს ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს.

• • •

სურათზე: ბეირუთის ქუჩებში.



უცხოეთის კრებსიდან

შანტაჟი... კეთილი განზრახვით

დასავლეთ გერმანია. ქალაქ კოლონიის საპატიმროში სასჯელის მოხდის დროს პატიმარმა ლაუენსტეინმა დაამზადა სითხე, რომელიც ადვილად აცილებს მელნის კვალს ნახმარ მარკას და თამამად შეიძლება მისი ხელახლა გამოყენება. ციხიდან რომ გამოვიდა, ლაუენსტეინმა ერთერთ იურისტს რჩევა ჰკითხა და შემდეგ ფოსტისა და ტელეგრაფის სამინისტროს უფროს მოხელეს ეახლა. მან სამინისტროს შესთავაზა, რომ მისი გამოგონება 100 ათას მარკად ეყიდათ, ხოლო შემდეგ გაესაიდუმლოებინათ, რაც სახელმწიფოს 2 მილიონი მარკის ზარალისაგან გადაარჩენდა, მოხელემ მაშინვე პოლიცია გამოიძახა და ლაუენსტეინი დააპატიმრეს შანტაჟისა და გამოძალვის ბრალდებით. მაგრამ, როგორც ლონდონის „სანდი ტაიმსი" იუწყება, სასამართლომ გაამართლა იგი, ვინაიდან ბრალდებული კეთილი განზრახვით და თანაც იურისტის რჩევით მოქმედებდა.

ფაქტები მოვლენები პროგლემები

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

არგენტინის ამბები

ნიუ-იორკი. (საკდესი). სამხედრო გადატრიალების შემდეგ ვითარება არგენტინაში, რომლის შედეგად ძალაუფლებას სათავეში ჩაუდგა სამხედრო ხუნტა, კვლავ რთულია.

როგორც ბუენოს-აირესიდან იტყობინებიან, სამხედრო ხელისუფლებამ გამოაქვეყნეს დეკრეტი, რომელიც მოსახლეობას ავალებს ჩაბარონ იარაღი ან ასაფეთქებელი ნივთიერებანი. ვინც ამ ბრძანებას არ დაემორჩილება 10 წლით პატიმრობა ელის.

იუწყებიან, რომ დაიპატიმრეს დამხობილი მთავრობის ბევრი მოხმრე.

ხუნტამ გამოსცა დეკრეტი, რომელშიც დადასტურებულია წინათ გამოცხადებული გადაწყვეტილება და მშრომელთა პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის დროებით აკრძალვის შესახებ. გამოცხადებულია აგრეთვე, რომ დროებით აეკრძალათ პროფკავშირებს გაფიცვების უფლება.

იმუწყებენ რა ხუნტის ოფიციალურ განცხადებას, საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, რომ იგი აპირებს დარჩეს ხელისუფლების სათავეში სამი წლის განმავლობაში.

ფაქტები

ლონდონი. ინგლისში მკვეთრად ძვირდება ცხოვრება. მარტო ამ უკანასკნელი წლის მანძილზე საცალო ფასები 22,9 პროცენტით გაიზარდა. სიტყემატურად იზრდებოდა ხაზოგადებრივი ტრანსპორტით მგზავრობის, გაზისა და ელექტრობის ჭირა. ადგილობრივი პრესა გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ახლა „ხაშუალო" ინგლისური ოჯახი იძულებულია ყველაფერზე — გაზეიებზეც კი დაზოგოს ფული.

„ცივი ომის" კერა

ლისაბონი. პორტუგალიის გაზეთი „დიარიუ პოპულარი" ცივი ომის კერას უწოდებს რადიოსადგურ „თავისუფალ ევროპას". გაზეთი გულისწყრომით ვმოს აშკარა მტრულ ძირგამომთხრელ საქმიანობას, რომელსაც რადიოსადგური ეწევა სოციალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან, დასავლეთის ყველაზე რეაქციულ წრეებთან მჭიდროდ დაკავშირებული „თავისუფალი ევროპის" აქციები, ბაზს უსვამს გაზეთი, შეუთავსებელია ჰელსინკის თანხმობის საბოლოო აქტის დებულებებთან, ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

უფიგნურობასთან ბრძოლა გრძელდება

ქაბული. უწიგნურობის ლიკვიდაციის კიდევ 80 კურსები გაიხსნა მიმდინარე წელს ავღანეთის დედაქალაქში. ამჟამად ქვეყანაში 250 ასეთი კურსები მოქმედებს.

ბრძოლა უწიგნურობის წინააღმდეგ ავღანეთში, სადაც მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტმა არ იცის წერა-კითხვა, რუსპუბლიკური მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. გათვალისწინებულია, რომ მიმდინარე წელს კურსებზე წერა კითხვას ისწავლის 10 ათასამდე ავღანელი.

საკდესი

ცხოვრება მკვეთრად ძვირდება

ლონდონი. ინგლისში მკვეთრად ძვირდება ცხოვრება. მარტო ამ უკანასკნელი წლის მანძილზე საცალო ფასები 22,9 პროცენტით გაიზარდა. სიტყემატურად იზრდებოდა ხაზოგადებრივი ტრანსპორტით მგზავრობის, გაზისა და ელექტრობის ჭირა. ადგილობრივი პრესა გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ახლა „ხაშუალო" ინგლისური ოჯახი იძულებულია ყველაფერზე — გაზეიებზეც კი დაზოგოს ფული.

უფიგნურობასთან ბრძოლა გრძელდება

ქაბული. უწიგნურობის ლიკვიდაციის კიდევ 80 კურსები გაიხსნა მიმდინარე წელს ავღანეთის დედაქალაქში. ამჟამად ქვეყანაში 250 ასეთი კურსები მოქმედებს.

ბრძოლა უწიგნურობის წინააღმდეგ ავღანეთში, სადაც მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტმა არ იცის წერა-კითხვა, რესპუბლიკური მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. გათვალისწინებულია, რომ მიმდინარე წელს კურსებზე წერა კითხვას ისწავლის 10 ათასამდე ავღანელი.

ტალინის ქრონიკა

მომავალ ყრილობაზე

სოფია. (სკკდესი). აქ გაიმართა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის X და XI ყრილობებს შორის გაწეული მუშაობის ანგარიში და პარტიის მორიგი „ამოცანები", რომელსაც ყრილობაზე გააკეთებს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ჟივკოვი. დამტკიცებულია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების მეშვიდე ხუთწლედის (1976-1980 წლების) ძირითად მიმართულებათა პროექტი, რომელსაც აგრეთვე განიხილავს ყრილობა.

საერთაშორისო კომენტარი

ტაილანდი: ბრძოლა გრძელდება

ტაილანდის დედაქალაქი ბანგკოკ უკანასკნელი კვირეებ ი ა შეშფოთებულის მოლოდინით ცხოვრობს. 20 მარტს გადიოდა ქვეყნიდან ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების მთლიანად გაყვანის ვადა. მიუხედავად ამისა ამ დროისათვის ტაილანდში ჯერ ისევ იყო 5 ათასზე მეტი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე (50 ათასიდან, რომლებიც იყვნენ ერთი წლის წინათ). ვიეთნამება გამწვავდა. მკვეთრად გაძლიერდა ორი ძირითადი ძალის ბრძოლა ქვეყნის პოლიტიკურ სარბიელზე. პროგრესული პარტიები და ორგანიზაციები დაეინებით მოითხოვდნენ, რომ პრემიერ-მინისტრს კ. პრამოტს შეესრულებინა ერთი წლის წინათ მიცემული პირობა — 20 მარტისათვის გაეყვანინებინა ამერიკის მთელი ჯარები. მაგრამ ამის წინააღმდეგ დაირაზმა მთელი შინაური რეაქცია და განსაკუთრებით პენტაგონთან მჭიდროდ დაკავშირებული არმიის ხელმძღვანელობა. რეაქცია, რომელიც ხალხში ვერ პოულობს მხარდაჭერას, მოქმედებს თავისი საყვარელი მეთოდებით — შანტაჟითა და ტერორით. უკანასკნელ ხანს მუსანთიერად მოკლეს სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი, აგრეთვე რამდენიმე სტუდენტი აქტივისტი, რომლებიც ამერიკის ჯარების გაყვანას მოითხოვდნენ. ხმა გავრდა სამხედრო გადატრიალება მზადდებაო.

რეაქციამ შეძლო მოეგო ახლანდელი ბრძოლის პირველი რაუნდი.

ახლა მთელი ყურადღება მიმართულია 4 აპრილის საერთო-ეროვნული არჩევნებისაკენ ანის მიპყრობილი. არჩევნების შედეგებზე იქნება დამოკიდებული, წყალენ ამერიკის ჯარები ტაილანდიდან უახლოესი ოთხი თვის განმავლობაში თუ კიდევ დიდხანს დარჩებიან იქ. როგორც ამ დღეებში აღნიშნავდა „ნიუ-იორკ ტაიმსი", ბანგკოკში მყოფი დასავლელი დიპლომატები იძ ლ ოვნებენ, რომ ჰოვერრა, რომელიც არჩევნების შედეგად შეიქმნება, შეინარჩუნებს ამერიკის სამხედრო ყოფნას ტაილანდში.

ამისათვის, იღვწის, უწინარეს ყოვლისა. შეერთებული შტატები, რომელსაც ტაილანდი თავის „კომუნიზმის შეკავების" სტრატეგიის დიდმნიშვნელოვან მოჯნად მიაჩნია და ამიტომ ყოველგვარ საშუალებას მიმართავს, მათ შორის ფინანსურსაც, რათა მისთვის ხელსაყრელი შედეგები მოპყიოს არჩევნებს. შეერთებულ შტატებს, რომელიც თავისი აგენტურის საშუალებით მოქმედებს, იმედი აქვს, რომ ფიზს მოიკიდებს ამ მიჯნაზე სამხრეთ ვიეტნამიდან და ინდოჩინეთის სხვა ქვეყნებიდან სამარცხვინო უკანდახევის შემდეგ. მაგრამ ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის მაგალითმა უდიდესი ზემოქმედება მოახდინა ამ რაიონის ყველა ქვეყანაზე, ახალი ძალები შეძატა იმათაც, ვინც ტაილანდში ქვეყნის ნამდვილი დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და პროგრესისათვის იბრძვის. (საკდესი).

საბჭოთა ოლიმპიადა

ბურგერ-ბოქსი

ბერლინი. ბერლინში ბურგერ-ბოქსის ტურნირი ჩატარდა. ეს ეროვნული სპორტი ბავარიელ ფერმერებს ეკუთვნის. ბურგერ-ბოქსი ბოქსის ერთ-ერთ ფორმად ითვლება. ბურგერ-ბოქსიორებს ბოქსიორ-ბურგერ-ბოქსიორ ბურგერ-ბოქსიორ ბურგერ-ბოქსიორ

ს. მ. კიროვის დაბადების 90 წლისთავი

მარად ჩვენს გვერდით

მომავალი კომუნიზმს ეკუთვნის

...მრავალმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც უდიდესი მათემატიკოსი ოცნებობდა ეპოვნა დახაყრდენი წერტილი, რათა მისი შემწეობით მოეტრიალებინა დედამიწა. განვლო საუკუნეებმა და ეს დახაყრდენი არამცთუ ნაპოვნია, არამედ შექმნილია კიდეც ჩვენი ხელით. არ გაიკვლის დიდი ხანი, როცა ჩვენ... ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მონაპოვრებზე დაყრდნობით, დედამიწის ორივე ნახევარსფეროს მოვაბრუნებთ კომუნიზმის გზისაკენ.

ჩვენი საქმე... უძლეველია არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ მშენებელთა დიდი არმია გვყავს, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენ ვაშენებთ ისეთი არქიტექტორის გეგმით, რომელიც არ გადაუხვევს სწორ ისტორიულ გზას, ჩვენი არქიტექტორი — ეს ჩვენი უძლეველი ბოლშევიკური პარტია, რომელიც შეიარაღებულია ლენინიზმით.

კომუნისტური პარტია... ერთი მთლიანობაა, კომუნისტური ხალი კლდე... მომავალი ეკუთვნის შრომის იმ ემბლემას, რომელიც დახატულია ჩვენს დროშებზე, რომლითაც გამოვედით ოქტომბრის რევოლუციაში, მომავალი ეკუთვნის ნამგალს და უროს.

ს. მ. კიროვი.

სერგეი მირონის-ძე კიროვი.

სერგეი მირონის-ძე კიროვი

დაამთავრა მოხსენებაზე მუშაობა, რომელითაც უნდა გამოსულიყო ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე.

ცოტა თავისუფალი დრო კიდევ დარჩა. იგი ათვალიერებს გაზეთებს. შემდეგ ჩაიდო ჯიბეში უბის წიგნაკი, ჩაიცვა შემოდგომის პალტო, დაიხურა თავისი უცვლელი ხაკის ქუდი და დარეკა სმოლნში: „მოვდივარ". უფშაობა უნდა დაეწყო პარტიული აქტივის კრებას.

4 საათზე ის ჯერ კიდევ თავის სამუშაო კაბინეტში იყო. მალე მოხსენებისათვის საჭირო მასალებით ხელში ოთახიდან გადის. ზურგიდან ნასროლი ტყვიით იატაკზე დაეცა.

მკვლელი შეიპყრეს. ლენინგრადის მედიცინა ფეხზე დადგა, რომ სიკვდილს შებრძოლებოდა. დიდი ადამიანის მაჯისცემა სამუდამოდ შეწყდა.

კალენდრის ფურცელი უჩვენებდა 1934 წლის 1 დეკემბერს, კედლის საათი კი — 4 საათსა და 30 წუთს.

კიროვის მოკვლის მომენტიდან რამდენიმე საათის შემდეგ სტალინი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე ლენინგრადში გაემგზავრნენ.

დამთავრდა ამ ლეგენდად ქცეული ადამიანის ცხოვრება, რომელიც ასე დაიწყო: იგი დაიბადა 1886 წლის 27 მარტს ვიატკის გუბერნიის (ამჟამად კიროვის ოლქი) ქალაქ ურჟუმში.

ცარიზმის წლებში ურჟუმი რევოლუციონერთა გადასახლების ერთ-ერთი ადგილი იყო. ბავშვობის მთელი წლების სერგეი მირონის-ძემ ძნელბედობასა და გაჭირვებაში გაატარა. 1901 წელს თხუთმეტი წლის ჭაბუკმა დაამთავრა ურჟუმის სამოქალაქო სასწავლებელი. როგორც საუკეთესო მოწაფე, იგი გაგზავნეს ყაზანის სარეწველო სასწავლებელში. 1904 წელს კიროვმა სასწავლებელი დაამთავრა. სწავლის გასაგრძელებლად გადავიდა ტომსკში. ამასთანავე იგი მთლიანად ებმება რევოლუციურ საქმიანობაში. 1904 წლიდან ბოლოს სერგეი მირონის-ძე მიიღეს ბოლშევიკურ პარტიაში და მან სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ცხოვრება პარტიას. 1905 წლის ივლისში იგი აირჩიეს რსდმპ ტომსკის კომიტეტის წევრად.

რევოლუციური საქმიანობისათვის პოლიციამ რამდენჯერმე დააპატიმრა სერგეი მირონის-ძე. საპყრობილეში იგი არ კარგავდა სიმხნეგეს, გამარჯვების რწმენას, აქ მუშაობა წრეს აწყობს და სხვა პატიმრებთან ერთად ვლადიმირ ილიას-ძე ლენინის სტატიებს სწავლობს, თავისი ენერგიით, მტკიცე ნებისყოფით და ოპტიმიზმით მსჭვალავდა იგი ირგვლივ მყოფთ.

1909 წლის აპრილში ტომსკში ერთ-ერთ ბაღჩაზე ჩამონგრეული სახლის ნგრევისას აღმოჩნდა იატაკქვეშა სტამბა. პოლიცია ეძებდა მის მოამწყობი. ამხანაგებმა გაფრთხილეს სერგეი მირონის-ძე საფრთხის შესახებ, რომელიც მას ემუქრებოდა. იგი ციმბირიდან წავიდა ვლადიკავკაზს.

1911 წლის აგვისტოს ბოლოს კიროვი დაუპატიმრეს ტომსკის იატაკქვეშა სტამბის საქმის გამო. მან უარყო მთელი ბრალდება და იძულებულნი გახდნენ გაემართლებინათ აწყარა ფაქტების უქონლობის გამო. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ იგი დაბრუნდა ვლადიკავკაზში, სადაც აღადგინა წინანდელი პარტიული კავშირი და გამოდიოდა გაზეთებში როგორც პუბლიცისტი. მისი სტატიები გამოირჩეოდა რევოლუციური პათოსით და მგზნებარებით. ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში სერგეი მირონის-ძე აქტიურად მუშაობდა გროზნოს, მინერალური წყლების, პიატიგორსკის პარტიულ ორგანიზაციებში. ხელმძღვანელობდა გაფიცვებს, საპირველმაისო მასობრივ შეკრებებს, რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ვლადიკავკაზს.

დაიწყო პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი. სერგეი



ამ სახლში (თბილისში, ჯაფარიძის ქუჩაზე) ცხოვრობდა და მუშაობდა სერგეი მირონის-ძე კიროვი.

ფლ. გინზბურგის ფოტო.

მირონის-ძე განუმარტავდა ფართო მასებს პარტიის ლოზუნგებს. გაზეთებში მოთავსებულ სტატიებში კიროვი ამხელდა ომის იმპერიალისტურ ხასიათს, ნათელყოფდა, თუ როგორ მდიდრდებოდნენ კაპიტალისტები ომით, ხალხის ტანჯვა-წამებით.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ კიროვი ღარიბებს განუმარტავდა დიდი ლენინის ცნობილ აპრილის თეზისებს, რაზმავდა მასებს ბოლშევიკების გარშემო, ამზადებდა მათ ახალი რევოლუციური ბრძოლებისათვის. კიროვი, როგორც საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობის დელეგატად არჩეული, ჩამოვიდა პეტროგრადში, უშუალოდ მონაწილეობდა ოქტომბრის შეიარაღებულ აჯანყებაში, იგი ხვდება და ესაუბრება ვლადიმერ ილიას-ძეს.

ყრილობის დამთავრების შემდეგ შორეული დაბრუნდა ვლადიკავკაზში. მრავალფეროვნი კავკასიის რთულ პირობებში პარტიის დავალებით იგი უნარიანად ახორციელებს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას,

1919 წლის 25 თებერვალს კიროვი აირჩიეს იქნა ასტრახანის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ. ასტრახანში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. მოსახლეობას და ჯარისკაცებს შიმშილი და ეპიდემია ტანჯავდა. კიროვმა მობილიზაცია გაუკეთა მთელ ძალებს ასტრახანის დასაცავად. ქალაქის პარტიულ კონფერენციაზე კიროვმა განაცხადა: „ვიდრე ასტრახანის მხარეში თუნდაც ერთი კომუნისტია, მდინარე ვოლგის შესართავი საბჭოთა იყო, არის და იქნება". ასეც მოხდა!

საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასა კიროვის თვალსაჩინო დამსახურება სამოქალაქო ომის წლებში და იგი წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა, ხოლო რესპუბლიკის რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ — სახელობითი ოქროს საათით.

1920 წლის გაზაფხულის რთულ საერთაშორისო ვითარებაში საბჭოთა რუსეთისა და მენშევიკური საქართველოს მთავრობებს შორის წარმოდდა საზავო მოლაპარაკება, რაც დამთავრდა იმით, რომ 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება და დამყარდა მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობა. კიროვი მოსკოვში გაიწვიეს. მას მოულოდნელად დავალება მისცეს, დავალება უდიდესი პასუხისმგებლობისა — გზავნიდნენ დიპლომატიურ სამუშაოზე მენშევიკურ საქართველოში. იგი დაინიშნა საბჭოთა მთავრობის მიერ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სრულუფლებიან ელჩად. უკვე ჯიბეში ედო დიპლომატიური პასპორტი № 6960, შევსებული რუსულ და ფრანგულ ენებზე.

საქართველოში გამომგზავრების წინ კიროვმა პირადად ლენინისაგან მიიღო დირექტივა საქართველოში მუშაობის შესახებ. კიროვი თბილისში ჩამოსვლისთანავე ენერგიულად შეუდგა საქართველოს კომუნისტური პარტიის ინტერესების დაცვას. იგი თავის გამოსვლებში, დიპლომატიური ნოტებისა და პროტესტების საშუალებით ნიღაბს ხდიდა და მზის სინათლეზე გამოჰქონდა სიცრუე და ცილისწამება, რომელსაც მენშევიკები და მათი პრესა ავრცელებდნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

1920 წლის სექტემბრის პირველ ნახევარში კიროვი საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ დაინიშნა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელად რიგაში, დელეგაციისა, რომელსაც საზავო ხელშეკრულება უნდა დაედო პოლონეთთან. მალე სერგეი მირონის-ძე ჩრდილოეთ კავკასიაში დაბრუნდა როგორც რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს წევრი.

1921 წლის მარტში გაიმართა ჩვენი პარტიის X ყრილობა. ყრილობაზე კიროვი აირჩიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, ხოლო წევრად აირჩიეს 1923 წელს.

1921-1925 წლებში კიროვი ხელმძღვანელობდა აზერბაიჯანის პარტიულ ორგანიზაციას. აზერბაიჯანში მუშაობის პერიოდში კიროვმა მოიპოვა მშრომელთა მხურვალე სიყვარული. ყველას აოცებდა მისი უბრალოება.

კიროვმა უდიდესი როლი შეასრულა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საქმეში. 1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების პირველ ყრილობაზე მან წარმოთქვა მგზნებარე სიტყვა.

1926-1934 წლებში კიროვი ხელმძღვანელობდა ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციას. დაიწყო ახალი, მგზნებარე პერიოდი მის ცხოვრებაში. ყველგან და ყველაფერში იგრძნობოდა კიროვის მტკიცე და წარმმართველი ხელი. მისთვის უცხო იყო შიში და მერყეობა პარტიის მიერ დასახული დიდი მიზნის მიღწევაში. აქ კიდევ უფრო გამოჩნდა იგი, როგორც პარტიის ერთიანობისათვის დაუღალავი მებრძოლი, სოციალისტური მშენებლობის ნიჭიერი ორგანიზატორი, დიდი სახალხო ტრიბუნი, ლენინიზმის იდეების მგზნებარე პროპაგანდისტი.

ამ პერიოდში ლენინგრადის პარტიიერი ორგანიზაცია დიდ კრიზისს განიცდიდა. ბევრს ხელი ჩაქნეული ჰქონდა, ბევრმა დაკარგა იმედი და რწმენა. კიროვი მივიდა, და პარტიულმა ორგანიზაციამ მკვრდი გაშალა, მძლავრად, მთელი ძალით იწყო სუნთქვა. მისმა ბრწყინვალე გამოსვლებმა და დიდმა ორგანიზატორულმა მუშაობამ გააცოცხლა და განამტკიცა იმედები, ბოლშევიკთა რწმენა საკუთარი ძალებისადმი. მას დასჭირდა დიდი ბრძოლა ოპოზიციის წინააღმდეგ. კიროვს თითქმის ყოველდღე უხდებოდა მოხსენებებითა და სიტყვებით გამოსვლა.

საჭირო იყო მარქსიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების ღრმად ცოდნა, რათა ემხილებინა და უკუგდო ზინოვიეველთა ცილისწამებლური გამოხდომები. ერთი წლის განმავლობაში კიროვს 180-ჯერ მოუხდა გამოსვლა.

1934 წლის იანვარში მოსკოვში მუშაობდა ჩვენი პარტიის XVII ყრილობა. მან შეაჯამა ისტორიული მონაპოვრები, რომელსაც ჩვენმა პარტიამ და ჩვენმა ხალხმა მიაღწიეს სოციალიზმის მშენებლობაში. როდესაც თავმჯდომარემ სიტყვა მისცა კიროვს, დელეგატები ფეხზე ადგნენ და მქუხარე ტაშით შეხვდნენ მას. მან წარმოთქვა თავისი ერთ-ერთი ყველაზე შთამაგონებელი სიტყვა. თვითეული სიტყვაში ჩანდა სიხარული, ცხოვრებისეული ოპტიმიზმი, სიამაყე გამარჯვებათა გამო.

კიროვი სიტყვას ამთავრებდა. ტოტა შეჩერდა. მერე ხმას უფრო აუწია. დელეგატებისაკენ გაშვერილი ხელი თითქოს თრთოლვით შემოატარა და ხმამაღლა, პათოსით თქვა: „ჩვენი წარმატებები მართლაც უდიდესია, ეშმაკმა დალეხეროს, ადამიანურად რომ ვთქვათ, კაცს გინდა იცოცხლო და იცოცხლო. მრთლაც შეხედეთ, რა ხდება. ეს ხომ ფაქტია?" დარბაზში ატყდა მქუხარე ტაში.

ყრილობაზე კიროვი კვლავ აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის წევრად, ხოლო ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე — ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ორგბიუროს წევრად, ცენტრალური კომიტეტის მდივნად. ამავე დროს იგი დარჩა პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად.

სერგეი მირონის-ძე სასტიკი მომთხოვნი იყო, — იგონებენ — თუნდაც ერთხელ არ შეასრულე მიცემული პირობა ან მოატყუე, — დანდობას ნუ ელი. შეპპირდი, — შეასრულე კიდე

საუკუნის ხელოვნება

ჩვენი შემოქმედებითი შრომა — მშობლიურ კომუნისტურ პარტიას

უოველწლიურად აღრეულ გაზაფხულზე — 27 მარტს მსოფლიოს პროგრესული თეატრალური მოღვაწენი თეატრის საერთაშორისო დღეს დღესასწაულობენ.

წლეულს ეს დღე აღინიშნება ლენინური „ჩვენი შემოქმედებითი შრომა — ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას".

სამი კვირის წინათ მუშაობა დასრულა სკკპ ისტორიულმა XXV ყრილობამ. საბჭოთა კომუნისტთა დიდი ფორუმის მუშაობა ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო, რომ ძოელმა პროგრესულმა კაცობრობამ მას უდიდესი შეფასება მისცა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ღრმა მეცნიერული ანალიზით არის განხილული განვითარებული სოციალიზმის აქტუალური საკითხები, კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლის ჯაჭვი. საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია XXIV ყრილობის შემდგომ განვლილ პერიოდშიც, ისე როგორც ადრე, მიდიოდა ლენინური კურსით, იგი ღირსეულად ასრულებდა მუშათა კლასის, ყოველი შრომელის, მთელი ხალხის პოლიტიკური ბელადის როლს".

საბჭოთა მრავალეროვანი თეატრი ყოველთვის იყო ერთგული თანაშემწე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისა. იგი თავისი შემოქმედებით აქტიურად მონაწილეობდა და მონაწილეობს საბჭოთა ადამიანის მსოფლხედველობის ჩამოყალიბებაში. დიდ თეატრალურ ოჯახში ქართული საბჭოთა თეატრის უფლებ თავისი ღირსეული ადგილი უკავია.

საქართველოს შემოქმედებით კავშირებთან ერთად თეატრალურმა საზოგადოებამ ბევრი პრინციპული მნიშვნელობის შემოქმედებითი ამოცანა უნდა გადაწყვიტოს, რომელსაც ჩვენს წინაშე პარტია და ხალხი აყენებს. მეათე ხუთწლედის წამყვანი დევიზია ხარისხი და ეფექტიანობა. ამისათვის საჭიროა უფრო ქმედითი და კონსტრუქციული ხელისძიებების გატარება, თანმედროვე ქართული თეატრალური ხელოვნების აღმავლობისათვის, თეატრის მუშაკთა იდეურ-პროფესიული დონის ამაღლებისათვის ყოველდღიური გაუხუჩელი ზრუნვა. თეატრების სული და გული სწორი სარეპერტუარო პოლიტიკაა.

მაღალიდეური, მაღალმხატვრული პროფესიული დრამატურგია თუ არ იქნა, არ შეიქმნება დიდი მხატვრული ეფერადობის მქონე სცენური ქმნილება. დიდი მწერლობა და ლიტერატურა თუ არ იქნა, არ იარსებებს თეატრი. ყოველი ჩვენი თეატრი — აკადემიური თუ არააკადემიური, თანამედროვე საბჭოთა პიესის შექმნის ლაბორატორიად უნდა გადაიქცეს. ამან წინათ თეატრალურმა საზოგადოებამ დაიწყებ დრამატურგია სემინარი ჩაატარა და გამოიარკვა, რომ საქართველოში თითქმის არ მოიძებნება არცერთი 30 წლამდე ნიჭიერი ახალგაზრდა, დრამატურგიაში რომ მუშაობდეს. ეს დამაფიქრებელი ფაქტია. სემინარები, კონკურსები, დისპუტები უფრო ზმირად უნდა იმართებოდეს. საქართველოს კულტურის სამინისტროსთან ერთად თეატრალური საზოგადოება უფრო ფართოდ გაშლის ამ საქმეს, რათა გამოავლინოს ახალი სახელები, ლიზარდის დრამატურგთა ახალი თაობა და დაეხმაროს ჩვენს ცნობილ დრამატურგებს. თეატრალურმა საზოგადოებამ ჩაატარა კვირეული, რომელიც კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას მიეძღვნა. კვირეულმა თბილისელი თეატრალისმოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

განზრახული გვაქვს განხორციელდეს გაზრებული, მოფიქრებული შეფობა თეატრალური საზოგადოებისა დედაქალაქის საწარმოებისადმი, დიდი კოლეგიურნეობებისადმი. ჩვენ განზრახული გვაქვს კავშირი დავამყაროთ ბიჯალ-ამოული მაგისტრალის ქართველ მშენებლებთან, რომ გაბას ურთიერთობა ქართველ თეატრალურ მოღვაწეებსა და მათ შორის. ჩვენი გამოჩენილი თეატრალური მოღვაწეები კონცერტების გასამართავად ნია-გრუზინსკაის ხშირად ეწვევიან.

საჭიროა სპექტაკლების ჩვენება და განხილვა თვით დიდ საწარმოებში, იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ქმნიან სახალხო დოვლათს. თეატრალურ საზოგადოებასთან უნდა შეიქმნას გაერთიანებული სამხატვრო საბჭო, რომელშიც შევლენ დიდ საწარმოთა მოწინავე წარმომადგენლები. ხელოვნების მუშაკებს ამით საშუალება მიეცემათ კიდევ უფრო ახლოს გაეცნონ მშრომელი ადამიანის ფსიქოლოგიას, დაუახლოვდნენ იმ ადამიანებს, ვინც მათი შემოქმედების მთავარი გმირები ყოიან.

ამას წინათ კულტურისა და განათლების სამინისტროებთან ერთად ჩატარდა კვირეული „სკოლა და თეატრი". იმ კვირეულმა დიდი რეზონანსი ჰპოვა, როგორც მოსწავლეებ-ახალგაზრდებს, ისე თეატრალურ მოღვაწეთა შორის. ჩვენ მოვალენი ვართ ვიზრუნოთ ჩვენს მომავალ მაყურებელზე, გავიზიანოთ ისინი სახელმძღვანელოდ ეროვნული ფალავანი.

ბოლო ორ-სამ წელიწადში ქართული თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთ ადგილ-ადგილ ეროვნული ფერადოვნებისა, ეროვნული ფერადოვნებისა, ეროვნული ფერადოვნებისა,